ერაზმუს+ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მობილობა თურქეთის, გაზის უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის თანამშრომელი ლუკა ქემოკლიძე და სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის, ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის აკადემიური დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ბორის გითოლენდია, *ერაზმუს*+ გაცვლითი პროგრამის KA107 პროექტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში, ტრენინგის მიზნით 2022 წლის 4-8 ივლისს თურქეთში, ქ. ანკარას გაზის უნივერსიტეტს (Gazi University) სტუმრობდნენ.

სტუ-ს წარმომადგენლებს, გაზის უნივერსიტეტში საქმიანი შეხვედრები ჰქონდათ ადგილობრივი საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის, ასევე საფაკულტეტო და უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე ძირითადად კომპეტენციის ფარგლებში განიხილებოდა, ორ უნივერსიტეტს შორის შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. სხვა და სხვა სამუშაო თემებთან დაკავშირებით, ინტერესთა დაახლოების მიზნით *სტუ*-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ დისკუსიასა თუ საქმიან შეხვედრებში. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა აქტივობა, რომელიც დაგეგმილი იყო ადგილობრივი საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის მიერ. *სტუ*-ს წარმომადგენლების მიერ ზემოთ დასახელებულ ყველა შეხვედრაზე წარდგენილი იყო ვრცელი პრეზენტაციები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ. ვიზიტის დღის წესრიგი, ასევე ითვალისწინებდა შემეცნებით აქტივობებს, მათ შორის გაცნობით ტურს როგორც გაზის უნივერსიტეტში, ასევ ქ. ანკარაში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ERASMUS+ ფარგლებში თანამშრომელთა მობილობის გააქტიურება, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება. ასევე *სტუ*-ს საერთაშორისო საგრანტო პროექტებში და კონსორციუმებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა. გაზის უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა *ერაზმუს*+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და რომლის კოორდინატორია გაზის უნივერსიტეტი (თურქეთი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზის და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის საქმიანი ურთიერთობები, ადგილობრივი ოფისის შეფასებით არის ძალიან შედეგიანი და როგორც მასპინძლების მხრიდან აღინიშნა, ისინი ამ წარმატებული შედეგების გათვალისწინებით *სტუ*-ს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, საგრანტო შესაძლებლობებს მომდევნო აკადემიური სასწავლო წელსაც გამოაცხადებენ.

Gazi